

სკოპინგის დასკვნა №11

საქმიანობის დასახელება: ცემენტის საწარმოს ექსპლუატაციის პირობების ცვლილება;

საქმიანობის განმახორციელებელი: შპს „ლევი 2019“;

საქმიანობის განხორციელების ადგილი: ქ. რუსთავი;

განაცხადის შემოსვლის თარიღი: 13.03.2023;

მონაცემები სკოპინგის ანგარიშის შემდგენელის შესახებ: შპს „ზეციხელი 2010“.

ძირითადი საპროექტო მონაცემები:

სკოპინგის დასკვნის მიღების მიზნით, სსიპ გარემოს ეროვნულ სააგენტოში შპს „ლევი 2019“-ის (ს/კ 416349749) მიერ წარმოდგენილია, ქ. რუსთავში, ცემენტის საწარმოს ექსპლუატაციის პირობების ცვლილების სკოპინგის ანგარიში.

აღნიშნულ საქმიანობაზე (ქ. რუსთავში შპს „თეიმურაზ ჯანგულაშვილი და კომპანია“ ცემენტის წარმოებაზე) 2021 წლის 15 ივლისს გაცემულია გარემოსდაცვითი გადაწყვეტილება (ბრძანება №2-1080), რომელიც 2022 წლის 18 ივლისის N 2-503 ბრძანების საფუძველზე გადაეცა შპს „ლევი 2019“-ს.

წარმოდგენილი დოკუმენტაციის თანახმად, არსებული ცემენტის საწარმო მდებარეობს ქ. რუსთავში (ცემენტის ქარხნის და რკინიგზის ხაზის მიმდებარედ) 13 928 მ² ფართობის მქონე, არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთზე (ს/კ: 02.07.02.042), სადაც განთავსებულია ცემენტის დაფქვისათვის საჭირო **12 ტ/სთ** წარმადობის ორკამერიანი ბურთულეებიანი წისქვილი, 6 ერთეული სილოსი (თითოეულის მოცულობა - 120 ტონა), სასაწყობე ფართები და დამხარე დანადგარები/მექანიზმები. საწარმოში ხდება სხვადასხვა მარკის ცემენტის წარმოება (ე.წ. პორტლამდცემენტი - მარკა „300“, მარკა „400“, მარკა „500“), კლინკერის, თაბაშირისა და დანამატების დაფქვითა და შერევით. არსებული მდგომარეობით, ცემენტის საწარმოს წლიური წარმადობა შეადგენს - **79 200 ტონას**, 330 სამუშაო დღისა და 20 საათიანი სამუშაო გრაფიკის გათვალისწინებით. უახლოესი საცხოვრებელი სახლი საწარმოს ტერიტორიიდან (მიწის ნაკვეთის საკადასტრო საზღვრიდან) დაშორებულია დაახლოებით 195 მეტრით. საწარმოდან 50 მეტრში მდებარეობს ე.წ მარიინის არხი.

წარმოდგენილი დოკუმენტაციის მიხედვით, ექსპლუატაციის პირობების ცვლილება ითვალისწინებს ცემენტის საწარმოში დამატებით **17 ტ/სთ წარმადობის სეპარაციული წისქვილის მოწყობას** და საწარმოს წლიური წარმადობის გაზრდას **191 400 ტონამდე**. ექსპლუატაციის პირობების ცვლილების ფარგლებში, ასევე დაგეგმილია 4 ერთეული (თითოეულის მოცულობა - 120 ტ) სილოსის მოწყობა.

სკოპინგის ანგარიშში განხილულია დაგეგმილი საქმიანობის (ცემენტის საწარმოს ექსპლუატაციის პირობების ცვლილების) ალტერნატიული ვარიანტების ანალიზი, მათ შორის უმოქმედობის (ნულოვანი) ალტერნატივა, ტექნოლოგიური და მტვერდამჭერი სისტემის ალტერნატიული ვარიანტები. უმოქმედობის (ნულოვანი) ალტერნატივა უარყოფილია პროექტის განხორციელებით მოსალოდნელი დადებითი სოციალურ-ეკონომიკური ფაქტორების გათვალისწინებით. ალტერნატივების შედარების შედეგად, ცემენტის წარმოებისთვის შერჩეულ ტექნოლოგიას წარმოადგენს - 17 ტ/სთ წარმადობის სეპარაციული წისქვილი, ხოლო შერჩეულ მტვერდამჭერ სისტემას მაღალი ეფექტურობის მქონე სახელოებიანი ფილტრები.

სკოპინგის ანგარიშის მიხედვით, ექსპლუატაციის პირობების ცვლილების ფარგლებში დაგეგმილი არ არის საწარმოო ტერიტორიის ცვლილება, ასევე უცვლელი რჩება საწარმოს სამუშაო რეჟიმი. საწარმო ფუნქციონირებს წელიწადში 330 დღე, 20 საათი სამუშაო რეჟიმით და წლის განმავლობაში აწარმოებს **79 200 ტონა** ცემენტს. ცემენტის წარმოებისათვის გათვალისწინებულია **63 360 ტონა** კლინკერის, **3 960 ტონა** თაბაშირისა და **11 880 ტონა** დანამატების დაფქვა. საწარმოში ახალი **17 ტ/სთ წარმადობის სეპარაციული წისქვილის** დამატების შედეგად, წლიური წარმადობა გაიზრდება **191 400 ტონამდე**. გაზრდილი წარმადობის გათვალისწინებით, ახალი ტექნოლოგიური ხაზისთვის დამატებით საჭირო იქნება **89 760 ტონა** კლინკერის, **5 610 ტონა** თაბაშირის და **16 830 ტონა** დანამატების დაფქვა. აღნიშნულიდან გამომდინარე, ობიექტზე ჯამურად გამოყენებული იქნება: **153 120 ტონა** კლინკერი, **9 570 ტონა** თაბაშირი და **28 710 ტონა** ღორღი.

სკოპინგის ანგარიშის მიხედვით, საწარმოს ტექნოლოგიური ციკლი გულისხმობს საწარმოო ტერიტორიაზე ნედლეულის შეტანა-დასაწყობებას, წისქვილებისთვის (არსებული და საპროექტო) მიწოდებას და დაფქვას. წისქვილებში დაფქული ცემენტი გადადის ე.წ. მტვერდამჭერ საკანში, სადაც მტვერის დაჭერა მოხდება ციკლონში, სახელოებიანი ფილტრების საშუალებით. მტვერდამჭერი საკნიდან ცემენტი გადადის ელევატორში, სადაც ემატება მტვერდამჭერ სისტემებში დაჭერილი ცემენტი და საბოლოოდ თავსდება ცემენტის სილოსებში. ექსპლუატაციის პირობების ცვლილებით დაგეგმილია **დამატებით 4 ერთეული (120 ტ მოცულობის) სილოსის მოწყობა**, რის შედეგადაც საწარმოში ჯამურად 10 ერთეული სილოსი, საერთო მოცულობით - **1200 ტ**. საწარმოში დამზადებული ცემენტის გაცემა ხდება, როგორც ნაყარის, ასევე ტომრებში დაფასოებული შეფუთვის სახით.

საწარმოში წყლის გამოყენება ხდება სასმელ-სამეურნეო (816,75 მ³/წელ) და სახანძრო დანიშნულებით. სასმელ-სამეურნეო მიზნებისათვის საწარმო წყალს იღებს ადგილობრივი წყალმომარაგების სისტემიდან. ექსპლუატაციის ეტაპზე წარმოქმნილი სამეურნეო-საყოფაცხოვრებო წყლების ჩაშვება ხორციელდება ქ. რუსთავის საკანალიზაციო სისტემაში, ხოლო სანიაღვრე წყლების ჩაშვება ქ. რუსთავის სანიაღვრე სისტემებში.

სკოპინგის ანგარიშის მიხედვით, ობიექტზე წარმოიქმნება საწარმოო და საყოფაცხოვრებო ნარჩენები. ექსპლუატაციის პირობების ცვლილების ფარგლებში, ნარჩენების სახეობების ცვლილება მოსალოდნელი არ არის. მტვერდამჭერში დაჭერილი მასის განთავსება გათვალისწინებულია ცემენტის სილოსებში, როგორც პროდუქცია. ობიექტზე წარმოქმნილი საყოფაცხოვრებო ნარჩენების შეგროვება ხდება კონტეინერებში, რომელიც ხელშეკრულების საფუძველზე პერიოდულად იცლება კომუნალური დასუფთავების სამსახურის მიერ.

სკოპინგის ანგარიშში წარმოდგენილია დაგეგმილი საქმიანობის შედეგად გარემოს სხვადასხვა კომპონენტებზე მოსალოდნელი ზემოქმედების შესახებ ინფორმაცია, ასევე ზოგადი ინფორმაცია იმ ღონისძიებების შესახებ, რომელიც გათვალისწინებულია უარყოფითი ზემოქმედების თავიდან აცილებისათვის, შემცირებისათვის ან/და შერბილებისთვის.

საწარმოს სპეციფიკის გათვალისწინებით, გარემოზე მოსალოდნელი ზემოქმედება ძირითადად დაკავშირებულია ატმოსფერული ჰაერის დაბინძურებასთან და ხმაურის გავრცელებასთან.

სკოპინგის ანგარიშის მიხედვით, საწარმოში განთავსებული (12 ტ/სთ) წარმადობის წისქვილი აღჭურვილია აირგამწმენდი სამსაფეხურიანი დანადგარით. I საფეხური მოიცავს – მტვერდამჭერ საკანს 10%-იანი ეფექტურობით; II საფეხური - ციკლონს 75 %-იანი ეფექტურობით და III საფეხური - სახელოებიანი ფილტრებს 99.9 %-იანი ეფექტურობით. ასევე, საპროექტო წისქვილი აღჭურვილი იქნება ანალოგიური ტიპის აირგამწმენდი დანადგარით. საპროექტო წისქვილიდან წარმოქმნილი აირმტვერნარევი გაწმენდის შემდეგ გაიფრქვევა ატმოსფერულ ჰაერში 12 მ სიმაღლის მილით (დიამეტრი - 0,6 მ), ხოლო არსებული წისქვილიდან - 16მ სიმაღლის მილით (დიამეტრი - 0,6 მ). ასევე, საწარმოში არსებულ 6 ერთეულ ცემენტის სილოსზე დამონტაჟებულია სახელოებიანი ფილტრები 99,9 % ეფექტურობით, რომლითაც ასევე აღიჭურვება საპროექტო სილოსები.

სკოპინგის ანგარიშის შესაბამისად, ატმოსფერულ ჰაერზე კუმულაციური ზემოქმედება მოსალოდნელი არ არის, რადგან საწარმოს განთავსების ტერიტორიის სიახლოვეს არ მდებარეობს ისეთი ობიექტები, რომლებმაც შესაძლოა გამოიწვიონ კუმულაციური ზემოქმედება. წარმოდგენილი GPS კოორდინატების ელექტრონული გადამოწმებით დადგინდა, რომ არსებული ცემენტის საწარმოდან 500 მ რადიუსში ფიქსირდება სხვადასხვა სამრეწველო ობიექტები, მათ შორის: შპს „ობ გრუპი“; შპს „ფერო ელოის ფროდაქშენი“; შპს „ჯეოფერომეტალი“; შპს „ჯეომეტალ გრუპი“; შპს „სფრინ კონსტრაქშენი“; შპს „კაპიტალ+“; შპს „ჰაიდელბერგცემენტ ჯორჯია“; შპს „ბუჩანდა“, ასევე ფიზიკური პირის, ლევან ვარსიმაშვილის საკუთრებაში არსებულ არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთზე განთავსებულია შენობა-ნაგებობა, რომლის ფუნქციური სტატუსი გზმ-ის ანგარიშში საჭიროებს დაზუსტებას. ამასთან, სკოპინგის ანგარიშის მიხედვით, ატმოსფერულ ჰაერში გაფრქვეული მავნე ნივთიერებების კონცენტრაცია უახლოეს დასახლებულ პუნქტთან არ გადააჭარბებს ზღვრულ დასაშვებ ნორმებს, რაც საწარმოს წლიური წარმადობის ზრდის გათვალისწინებით გზმ-ის ეტაპზე საჭიროებს დაზუსტებასა და გაფრქვეული მავნე

ნივთიერებების გაბნევის დეტალური ანგარიშის წარმოდგენას, საწარმოს სიახლოვეს (განსაკუთრებით 500 მეტრთან რადიუსში) არსებული ყველა სამრეწველო ობიექტის, საპროექტო ტერიტორიაზე გაბატონებული ქარების მიმართულებებისა და უახლოესი დასახლებული პუნქტის (195 მ) გათვალისწინებით. სკოპინგის ანგარიშის მიხედვით, საწარმოში ცემენტის დაფქვის წისკვილებზე დანერგილი იქნება უწყვეტი მონიტორინგის სისტემები, რომლის შესახებ ინფორმაცია, მათ შორის - გაფრქვევის წყაროების, მონიტორინგს დაქვემდებარებული კომპონენტების, თვითმონიტორინგისთვის შერჩეული მეთოდის/ხელსაწყო და სტანდარტის შესახებ გზშ-ის ეტაპზე საჭიროებს დაზუსტებას.

საწარმოს ექსპლუატაციის ეტაპზე, ხმაურისა და ვიბრაციის წარმომქმნელ ძირითად წყაროებს წარმოადგენს ტექნოლოგიურ პროცესში ჩართული დანადგარები. წარმოდგენილი ინფორმაციით, საწარმოში ხმაურის წარმომქმნელი დანადგარები განთავსებულია დახურულ შენობაში, ასევე საპროექტო დანადგარების მოწყობა მოხდება დახურულ შენობაში. აღნიშნულის გათვალისწინებით, ხმაურით გავრცელებით გამოწვეული მნიშვნელოვანი ზემოქმედება მოსალოდნელი არ არის.

ადმინისტრაციული წარმოების ეტაპზე, სსიპ გარემოს ეროვნულმა სააგენტომ უზრუნველყო წარმოდგენილი სკოპინგის ანგარიშისა და საჯარო განხილვების შესახებ ინფორმაციის კანონმდებლობით დადგენილი წესით გავრცელება, მათ შორის ინფორმაცია განთავსდა სააგენტოს ოფიციალურ ვებგვერდზე, გარდაბნისა და რუსთავის მუნიციპალიტეტების საინფორმაციო დაფებზე, ხოლო სსდ გარემოსდაცვითი ზედამხედველობის დეპარტამენტის რეგიონული წარმომადგენლების მიერ, საჯარო განხილვის შესახებ განცხადებები განთავსდა საქმიანობის განხორციელების სიახლოვეს, ინფორმაციის გავრცელების დამკვიდრებულ ადგილებზე. საჯარო განხილვების შესახებ ინფორმაცია ასევე გამოქვეყნდა სსიპ „გარემოსდაცვითი ინფორმაციისა და განათლების ცენტრის“ ვებგვერდზე და გადაიგზავნა ცენტრის გამომწერებთან ელ. ფოსტის მეშვეობით. საქმიანობის განხორციელების სიახლოვეს ინფორმაციის გავრცელების მიზნით, დოკუმენტაცია გადაგზავნილი იქნა ასევე რუსთავისა და გარდაბნის მუნიციპალიტეტების მერიებში. ასევე, საჯარო განხილვის შესახებ ინფორმაცია გამოქვეყნდა გაზეთში. სკოპინგის ანგარიშთან დაკავშირებით საჯარო განხილვები გაიმართა 2023 წლის 3 აპრილს, 13:00 საათზე, ქ. რუსთავის მუნიციპალიტეტის მერიის შენობაში და 2023 წლის 7 აპრილს, 15:30-ზე, გარდაბნის მუნიციპალიტეტის, სოფ. თაზაქენდის საჯარო სკოლის შენობაში. ქ. რუსთავში გამართულ საჯარო განხილვას ესწრებოდნენ სსიპ გარემოს ეროვნული სააგენტოს, შპს „ლევ 2019“-ის, სამოქალაქო მოძრაობის „გავიგუდეთ“, ქ. რუსთავის მუნიციპალიტეტის წარმომადგენლები და ადგილობრივი მოსახლეობა. საჯარო განხილვაზე დაინტერესებული საზოგადოების მიერ დაფიქსირებული შენიშვნები/მოსაზრებები ძირითადად ეხებოდა ატმოსფერულ ჰაერზე მოსალოდნელი ზემოქმედების, საჯარო განხილვის შესახებ ინფორმაციის გავრცელების და უწყვეტი თვითმონიტორინგის საკითხებს. განხილვაზე დასმულ საკითხებზე, შესაბამისი განმარტებები გააკეთეს შპს „ლევ 2019“-ის და შპს „ზეციხელი 2010“-ის წარმომადგენლებმა.

გარდაბნის მუნიციპალიტეტის, სოფ. თაზაქენდის საჯარო სკოლის შენობაში გამართულ საჯარო განხილვას ესწრებოდნენ სსიპ გარემოს ეროვნული სააგენტოს, შპს „ლეგ 2019“-ის, გარდაბნის მუნიციპალიტეტის წარმომადგენლები და ადგილობრივი მოსახლეობა. ადგილობრივმა მოსახლეობამ მკაფიო წინააღმდეგობა გამოთქვა პროექტის შერჩეულ ლოკაციაზე განხორციელებასთან დაკავშირებით და მოითხოვა საწარმოო ობიექტების სხვაგან, დასახლებული პუნქტიდან მოშორებით გადატანა. საჯარო განხილვებზე გამოთქმული შენიშვნები/მოსაზრებები და შესაბამისი პასუხები/განმარტებები აისახა საჯარო განხილვის ოქმებში.

ადმინისტრაციული წარმოების ეტაპზე, დაგეგმილ საქმიანობასთან დაკავშირებით სააგენტოში წერილობითი შენიშვნები/მოსაზრებები წარმოდგენილი არ ყოფილა.

სკოპინგის პროცედურის შედეგად სააგენტოს მიერ იდენტიფიცირებული იქნა გარემოზე და ადამიანის ჯანმრთელობაზე მოსალოდნელი ძირითადი ზემოქმედების წყაროები, სახეები და ობიექტები. ამასთან, განსაზღვრული და დაგეგმილი იქნა საქმიანობის გზშ-ის ანგარიშის მომზადებისათვის საჭირო კვლევების, მოსაპოვებელი და შესასწავლი ინფორმაციის ჩამონათვალი, ასევე გზშ-ის პროცესში დეტალურად შესასწავლი ზემოქმედებების საკითხები.

გზშ-ის ანგარიშის მომზადებისათვის საჭირო კვლევების, მოსაპოვებელი და შესასწავლი ინფორმაციის ჩამონათვალი:

1. **გზშ-ის ანგარიში უნდა მოიცავდეს** „გარემოსდაცვითი შეფასების კოდექსის“ მე-10 მუხლის მე-3 ნაწილით დადგენილ ინფორმაციას;
2. **გზშ-ის ანგარიშს უნდა დაერთოს** „გარემოსდაცვითი შეფასების კოდექსის“ მე-10 მუხლის მე-4 ნაწილით განსაზღვრული დოკუმენტაცია;
- 2.1 **გარემოსდაცვითი შეფასების კოდექსის მე-10 მუხლის მე-2 ნაწილის შესაბამისად გზშ-ის ანგარიში ხელმოწერილი უნდა იყოს** იმ პირის/პირების მიერ, რომელიც/რომლებიც მონაწილეობდა/მონაწილეობდნენ მის მომზადებაში, მათ შორის, კონსულტანტის მიერ.
3. **გზშ-ის ანგარიშში წარმოდგენილი უნდა იყოს** სკოპინგის ანგარიშში მითითებული (განსაზღვრული, ჩასატარებელი) კვლევების შედეგები, მოპოვებული და შესწავლილი ინფორმაცია, გზშ-ის პროცესში დეტალურად შესწავლილი ზემოქმედებები და შესაბამისი შემცირების/შერბილების ღონისძიებები;
4. **გზშ-ის ანგარიშში, ასევე წარმოდგენილი უნდა იყოს:**
 - საწარმოს ექსპლუატაციის პირობების ცვლილების საჭიროების დეტალური დასაბუთება (გარემოზე მოსალოდნელი ზემოქმედებით გამოწვეული დანაკარგისა და მიღებული სარგებლის ურთიერთშეწონის საფუძველზე);

- გარემოს დაცვის მიზნით შემოთავაზებული გონივრული ალტერნატიული ვარიანტების შესახებ ინფორმაცია, ალტერნატივების შედარებითი ანალიზი შესაბამისი დასაბუთებით. მათ შორის არაქმედების (ნულოვანი) ალტერნატივის, ექსპლუატაციის პირობების ცვლილების ალტერნატივების ანალიზი და გარემოსდაცვითი თვალსაზრისით შერჩეული ალტერნატივების აღწერა-დასაბუთება;
- საქმიანობის განხორციელების ადგილის აღწერა-დახასიათება, საპროექტო ტერიტორიის საკადასტრო კოდის, Shp ფაილებისა და GPS კოორდინატების მითითებით. მათ შორის, მიწის ნაკვეთის საკუთრების/სარგებლობის დამადასტურებელი დოკუმენტაცია;
- დაზუსტებული მანძილი საწარმოს ტერიტორიიდან უახლოეს საცხოვრებელ სახლ(ებ)ამდე (მდებარეობის მითითებით), ასევე ზედაპირული წყლის და სხვა შესაძლო ზემოქმედებას დაქვემდებარებულ ობიექტებამდე;
- ინფორმაცია საწარმოს სიახლოვეს (განსაკუთრებით 500-მ რადიუსის საზღვრებში) არსებული ნებისმიერი ტიპის საწარმოო, მათ შორის დაგეგმილი საქმიანობის ანალოგიური ობიექტ(ებ)ის შესახებ (მანძილების და საქმიანობის მითითებით);
- საწარმოში მიმდინარე საქმიანობის და დაგეგმილი ცვლილებების დეტალური აღწერა, ასევე გარემოსდაცვითი გადაწყვეტილების მიღებიდან დღემდე საწარმოში მოწყობილი/არსებული და მოსაწყობი/საპროექტო ტექნოლოგიური ობიექტების/დანადგარების შესახებ დაზუსტებული ინფორმაცია;
- ექსპლუატაციის პირობების ცვლილების გათვალისწინებით, ცემენტის საწარმოს ტექნოლოგიური პროცესების დეტალური აღწერა, შესაბამისი თანმიმდევრობით. ცემენტის საწარმოს ტექნოლოგიური სქემა და ტექნოლოგიური ციკლი, სქემატური ნახაზების მითითებით და შესაბამისი ექსპლიკაციით;
- ექსპლუატაციის პირობების ცვლილების გათვალისწინებით, საწარმოს განახლებული გენერალური გეგმა, შესაბამისი აღნიშვნებით და ექსპლიკაციით, სადაც დატანილი იქნება საწარმოო დანადგარები, დამხმარე ტექნოლოგიური მოწყობილობები და ტექნოლოგიური უბნები, მავნე ნივთიერებების გაფრქვევისა და ხმაურის წყაროები;
- ექსპლუატაციის პირობების ცვლილების გათვალისწინებით, ინფორმაცია საქმიანობის ფიზიკური მახასიათებლების შესახებ, მათ შორის ინფორმაცია არსებული/დაგეგმილი წარმადობის და საწარმოს (საათური, დღიური, წლიური) სამუშაო რეჟიმის შესახებ;
- ინფორმაცია საწარმოში წლის განმავლობაში წარმოებული პროდუქციის ტიპის (მარკის) და რაოდენობის შესახებ, როგორც არსებული მდგომარეობით, ასევე ექსპლუატაციის პირობების ცვლილების გათვალისწინებით;
- ექსპლუატაციის პირობების ცვლილების გათვალისწინებით, დეტალური ინფორმაცია საწარმოს ნედლეულით მომარაგების, ნედლეულის წარმოშობის, რაოდენობის, ტიპის, ნედლეულის დასაწყობების ადგილების და პირობების შესახებ;
- დეტალური ინფორმაცია ნედლეულის შემოტანის და პროდუქციის გატანის პროცედურების/ტრანსპორტირების შესახებ, შესაბამისი სამომრავო მარშრუტის მითითებით (რუკაზე ჩვენებით, სქემატური ნახაზებით). ამასთან, წარმოდგენილი

უნდა იქნეს ნედლეულის/პროდუქციის ტრანსპორტირების გეგმა-გრაფიკი (ნედლეულის/პროდუქციის შემოტანის და გატანის სიხშირის მითითებით);

- ინფორმაცია ნედლეულის/პროდუქციის ტრანსპორტირებისათვის გამოყოფილი ტრანსპორტის ტიპისა და რაოდენობის შესახებ;
- ინფორმაცია მშრალ ამინდებში საპროექტო ტერიტორიისა და მისასვლელი გზების მორწყვის საჭიროებისა (მორწყვის გეგმა-გრაფიკის მითითებით) და საწარმოს ტერიტორიის დატოვებამდე ცემენტშიდების საბურავების მტვრისგან გასუფთავების (გარეცხვის) შესახებ;
- ნედლეულის/პროდუქციის ტრანსპორტირებისას დასახლებულ პუნქტ(ებ)ში გადაადგილების შემთხვევაში ინფორმაცია შესაბამისი პირობების დაცვის შესახებ (მაგ: დაბალი სიჩქარე, ძარის გადახურვა, ღამის საათებში მოძრაობის აკრძალვა);
- ინფორმაცია საწარმომდე მისასვლელი გზების და მათი მდგომარეობის შესახებ;
- ინფორმაცია საწარმოს არსებული და საპროექტო მტვერდამჭერი სისტემის შესახებ, პარამეტრების (საპასპორტო მონაცემების) მითითებითა და ეფექტურობის დასაბუთებით;
- ინფორმაცია მტვერდამჭერი სისტემის ტექნიკური გამართულობის კონტროლის, პარამეტრების დაცვის, მათ შორის სახელოიანი ფილტრების დროული გამოცვლის შესახებ;
- ინფორმაცია მტვერდამჭერში დაგროვილი მტვრის მართვის შესახებ;
- ინფორმაცია საწარმოს ტერიტორიაზე გამწვანების ზოლის არსებობის ან/და მოწყობის (დასახლებული პუნქტის მიმართულებით) შესაძლებლობის შესახებ;
- ინფორმაცია კომპანიის საქმიანობის შედეგად წარმოქმნილი ნარჩენების (კოდი, დასახელება, მახასიათებელი, რაოდენობა, ნარჩენების დამუშავებისთვის გამოყენებული მეთოდები და ა.შ) და მათი შემდგომი მართვის შესახებ საქართველოს კანონის ნარჩენების მართვის კოდექსისა და მისგან გამომდინარე კანონქვემდებარე ნორმატიული აქტებით დადგენილი მოთხოვნების შესაბამისად;
- ინფორმაცია საწარმოს სასმელ-სამეურნეო, ტექნიკური და სახანძრო წყალმომარაგებისა და ჩამდინარე წყლების მართვის შესახებ (ექსპლუატაციის პირობების ცვლილების გათვალისწინებით);
- ინფორმაცია საწარმოს ტექნოლოგიურ უბნებზე წარმოქმნილი სანიაღვრე წყლების მართვის შესახებ, მათ შორის ინფორმაცია სანიაღვრე წყლების არინებისთვის არსებული და დაგეგმილი ინფრასტრუქტურის შესახებ (ექსპლუატაციის პირობების ცვლილების გათვალისწინებით);
- საწარმოს ფუნქციონირების დროს მოსალოდნელი შესაძლო ავარიული სიტუაციების აღწერა. მათ შორის, საწარმოს სახანძრო უსაფრთხოების საკითხების/ხანძარსაწინააღმდეგო ღონისძიებების შესახებ ინფორმაცია;
- დასაქმებული ადამიანების რაოდენობა, მათ შორის დასაქმებულთა შორის ადგილობრივი მოსახლეობის წილი, ასევე პერსონალის პროფესიული და ტექნიკური სწავლების შესახებ ინფორმაცია;

- ინფორმაცია გზშ-ის ფარგლებში ჩატარებული საბაზისო/სამიეზო კვლევებისა და გზშ-ის ანგარიშის მომზადებისთვის გამოყენებული მეთოდების შესახებ;
- ექსპლუატაციის პირობების ცვლილების გათვალისწინებით, ინფორმაცია საქმიანობის ფიზიკური მახასიათებლების შესახებ, მათ შორის ინფორმაცია არსებული და დაგეგმილი წარმადობის/საწარმოო სიმძლავრის (საათური, დღიური, წლიური) და სამუშაო რეჟიმის შესახებ;
- ინფორმაცია გზშ-ის ფარგლებში ჩატარებული საბაზისო/სამიეზო კვლევებისა და გზშ-ის ანგარიშის მომზადებისთვის გამოყენებული მეთოდების შესახებ.

5. ექსპლუატაციის პირობების ცვლილების გათვალისწინებით გარემოზე მოსალოდნელი ზემოქმედების შეფასება გარემოს თითოეული კომპონენტისათვის და პროექტის განხორციელების შედეგად მოსალოდნელი ზემოქმედების შეჯამება, მათ შორის:

- ექსპლუატაციის პირობების ცვლილების გათვალისწინებით მოსალოდნელი ზემოქმედების შეფასება ატმოსფერულ ჰაერზე, სადაც მოცემული უნდა იყოს:
 - ატმოსფერულ ჰაერში მავნე ნივთიერებათა გამოყოფისა და გაფრქვევის წყაროები (გენ-გეგმაზე მითითებით), გაფრქვეული მავნე ნივთიერებები, გაფრქვეულ მავნე ნივთიერებათა რაოდენობრივი და თვისობრივი მონაცემები, გაბნევის ანგარიში (გაბატონებული ქარების მიმართულებების გათვალისწინებით);
 - ატმოსფერულ ჰაერზე მოსალოდნელი ზემოქმედების პრევენციული და შემარბილებელი ღონისძიებები, დაგეგმილი ღონისძიებების ეფექტურობის დასაბუთებით;
 - ატმოსფერულ ჰაერში მავნე ნივთიერებათა გაფრქვევის მონიტორინგის გეგმა. მათ შორის, 2013 წლის 31 დეკემბრის №413 დადგენილებით განსაზღვრული უწყვეტი ინსტრუმენტული თვითმონიტორინგის სისტემის საწარმოში დანერგვის შესახებ დეტალური ინფორმაცია, გაფრქვევის წყაროების, მონიტორინგს დაქვემდებარებული კომპონენტების, თვითმონიტორინგისთვის შერჩეული მეთოდის/ხელსაწყო და სტანდარტის მითითებით;
- გზშ-ის ანგარიშს თან უნდა ახლდეს ატმოსფერულ ჰაერში გაფრქვეულ მავნე ნივთიერებათა ზღვრულად დასაშვები გაფრქვევის ნორმების განახლებული პროექტი;
- ექსპლუატაციის პირობების ცვლილებისა და საწარმოს სამუშაო რეჟიმის (20 სთ) გათვალისწინებით დეტალური ინფორმაცია ხმაურის გავრცელებით მოსალოდნელი ზემოქმედების შესახებ, სადაც სათანადოდ იქნება გათვალისწინებული არსებული/ფაქტობრივი და საპროექტო გარემოებები (ხმაურის ყველა წყაროს გენგეგმაზე დატანით). მოცემული უნდა იქნეს ხმაურის გავრცელების დონეების გაანგარიშება-მოდელირება, და შესაბამისი შედეგები. განისაზღვროს შესაბამისი შემარბილებელი ღონისძიებებისა და მონიტორინგის საკითხები;
- დაზუსტებული ინფორმაცია ვიზრაციით გამოწვეული ზემოქმედებისა და შესაბამისი შემარბილებელი ღონისძიებების შესახებ;

- ინფორმაცია ნედლეულის/პროდუქციის ტრანსპორტირებით სატრანსპორტო ნაკადებზე მოსალოდნელი ზემოქმედებისა და შემარბილებელი ღონისძიებების შესახებ;
- ბიოლოგიურ გარემოზე შესაძლო ზემოქმედების შეფასება და შემარბილებელი ღონისძიებები;
- შესაძლო ზემოქმედების შეფასება ნიადაგის ნაყოფიერ ფენაზე და გრუნტის ხარისხზე, შესაძლო დაბინძურების განსაზღვრა, შესაბამისი შემარბილებელი ღონისძიებების მითითებით;
- შესაძლო ზემოქმედების შეფასება ზედაპირულ და მიწისქვეშა/გრუნტის წყლებზე, ზედაპირული და მიწისქვეშა წყლების დაბინძურების რისკები, შესაბამისი შემარბილებელი ღონისძიებების მითითებით;
- ნარჩენების წარმოქმნა-გავრცელებით მოსალოდნელი ზემოქმედებისა და შესაბამისი პრევენციული ღონისძიებების შესახებ ინფორმაცია;
- შესაძლო ზემოქმედების შეფასება ისტორიულ-კულტურულ და არქეოლოგიურ ძეგლებზე;
- გზშ-ის ანგარიშში დეტალურად უნდა იქნეს ასახული დაგეგმილი საქმიანობის შედეგად გამოწვეული ზემოქმედების შეფასება სოციალურ გარემოზე, ასევე განსაზღვროს ადამიანის ჯანმრთელობასთან, უსაფრთხოებასთან დაკავშირებული რისკები და შესაბამისი შემარბილებელი ღონისძიებები;
- კუმულაციური ზემოქმედების შესახებ დეტალური ინფორმაცია, რომელიც წარმოდგენილი უნდა იქნეს გარემოს თითოეული კომპონენტისთვის (განსაკუთრებით ატმოსფერული ჰაერისთვის). კუმულაციურ ზემოქმედებასთან მიმართებაში უნდა განისაზღვროს შესაბამისი შემარბილებელი ღონისძიებები, რომლებიც სათანადოდ იქნება დასაბუთებული;
- **გარემოზე შეუქცევი ზემოქმედების შეფასება და მისი აუცილებლობის დასაბუთება** (რაც გულისხმობს გარემოზე შეუქცევი ზემოქმედებით გამოწვეული დანაკარგისა და მიღებული სარგებლის ურთიერთშეწონას გარემოსდაცვით, კულტურულ, ეკონომიკურ და სოციალურ ჭრილში);
- ავარიულ სიტუაციებზე რეაგირების დეტალური გეგმა;
- ექსპლუატაციის პირობების ცვლილების გათვალისწინებით, საქმიანობის ფარგლებში განსახორციელებელი შემარბილებელი ღონისძიებების შემაჯამებელი გეგმა-გრაფიკი;
- ექსპლუატაციის პირობების ცვლილების გათვალისწინებით, საქმიანობის ფარგლებში განსახორციელებელი გარემოსდაცვითი მონიტორინგის შემაჯამებელი გეგმა-გრაფიკი (საკონტროლო წერტილების, მონიტორინგის სიხშირის, მეთოდის და ა.შ მითითებით), სადაც განსაკუთრებული ყურადღება დაეთმობა ატმოსფერულ ჰაერში ემისიებსა და ხმაურის გავრცელებას;
- გზშ-ის ფარგლებში შემუშავებული ძირითადი დასკვნები და საქმიანობის პროცესში განსახორციელებელი ძირითადი ღონისძიებები.

6. საკითხები/შენიშვნები, რომლებიც გათვალისწინებული უნდა იქნეს გზშ-ის ანგარიშში:

- ადგილობრივი მოსახლეობის მიერ პროექტის შესახებ საჯარო განხილვებზე დაფიქსირებული შენიშვნების/მოსაზრებების, მათ შორის წინააღმდეგობრივი პოზიციის გათვალისწინებით მნიშვნელოვანია გზშ-ის ეტაპზე წარმოდგენილი იქნეს - პროექტთან დაკავშირებით ადგილობრივი მოსახლეობის ინფორმირების, მათი პოზიციების, დამოკიდებულების, აზრის გათვალისწინების და შეთანხმების (არსებობის შემთხვევაში) ამსახველი ინფორმაცია;
- ცალკე ქვეთავის სახით წარმოდგენილი უნდა იყოს 2021 წლის 15 ივლისს გაცემული გარემოსდაცვითი გადაწყვეტილებით (ბრძანება №2-1080) განსაზღვრული პირობების შესრულების მდგომარეობის შესახებ დეტალური ინფორმაცია (განხილული იქნეს თითოეული პირობის შესრულების საკითხი/ანალიზი);
- ობიექტზე გარემოსდაცვითი ზედამხედველობის დეპარტამენტის მიერ ჩატარებული გეგმიური/არაგეგმიური შემოწმებების, მათ შორის გამოვლენილი დარღვევებისა და მათი აღმოფხვრისთვის განსაზღვრული ქმედებების/გონივრული ვადების (არსებობის შემთხვევაში) შესახებ ინფორმაცია;
- წარმოდგენილ იქნეს შესაბამისი დასაბუთება, რამდენად უზრუნველყოფს ტერიტორიაზე არსებული შენობა-ნაგებობა - ცემენტის წარმოების გარემოსდაცვითი რეგულაციების სრული დაცვით განხორციელებას;
- გარემოსდაცვითი გადაწყვეტილების მიღების მიზნით გზშ-ის ანგარიშში წარმოდგენილი უნდა იქნეს წინამდებარე დასკვნით განსაზღვრული მოთხოვნებისა და საკითხების გათვალისწინებით.

გზშ-ის ანგარიშში წარმოდგენილი უნდა იყოს ინფორმაცია სკოპინგის დასკვნით განსაზღვრული საკითხების გათვალისწინების შესახებ, ერთიანი ცხრილის სახით (გვერდებისა და (ქვე)თავების მითითებით).

დასკვნითი ნაწილი:

სკოპინგის დასკვნის მიღების მიზნით, შპს „ლევ 2019“-ის მიერ, სსიპ გარემოს ეროვნულ სააგენტოში წარმოდგენილ პროექტზე, რომელიც ეხება ქ. რუსთავში, ცემენტის საწარმოს ექსპლუატაციის პირობების ცვლილებას, **სავალდებულოა გზშ-ის ანგარიშში მომზადდეს** წინამდებარე სკოპინგის დასკვნით გათვალისწინებული კვლევების, მოსაპოვებელი და შესასწავლი ინფორმაციის და წარმოსადგენი დოკუმენტაციის მიხედვით. გზშ-ის ანგარიშში შედგენილი უნდა იყოს მოქმედი კანონმდებლობისა და სკოპინგის დასკვნით განსაზღვრული მითითებების სრული დაცვით.